

**ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა
კომპანიამ (FMO) თიბისი ბანკს 15 მილიონიანი სესხი
გამოუყო**

პრესრელიზი

თბილისი, 20 მარტი, 2008 წელი – დღეს, ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანია FMO და სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი" ხელს აწერენ სასესხო ხელშეკრულებას 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის გამოყოფის თაობაზე. ხელმოწერის ცერემონიას დაესწრებიან თიბისი ბანკის მენეჯმენტი, ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ნიდერლანდების საქართველოში და FMO-ს აზიისა და ცენტრალური ევროპის რეგიონალური დირექტორი.

მოზიდული ფინანსური რესურსი მოხმარდება თიბისი ბანკის მიერ იპოთეკური სესხების დაფინანსებას, ქართულ ბაზარზე საკმაოდ მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით.

ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანია (FMO) 40 ქვეყანასთან თანამშრომლობს და მისი მიზანია ინვესტიციების განხორციელებით ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას. 2000 წელს საკრედიტო სარეიტინგო სააგენტომ „Standard & Poor’s“-მა კომპანიას უმაღლესი, „AAA“ რეიტინგი მიანიჭა.

თიბისი ბანკსა და FMO-ს შორის თანამშრომლობა 2006 წლიდან დაიწყო. კერძოდ, 2006 წლის დეკემბერში FMO-ს მიერ თიბისი ბანკისათვის გამოყოფილ იქნა ქართულ ლარში ნომინირებული საკრედიტო ხაზი 10 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტით, ხოლო 2007 წლის მაისში – 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული სესხი.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერი სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba1,stable

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას, 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გაცვდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.